



კვლევის ანგარიში პროგრამების შეფასება 2018

შპს ბარაკონი



კვლევის ანგარიში პროგრამების შეფასება 2018

თბილისი
2018

სარჩევი

| | |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი..... | 4 |
| კვლევის მიზანი | 4 |
| კვლევის მეთოდოლოგია | 5 |
| ეთიკური მოსაზრებები | 7 |
| მონაცემთა ანალიზი (საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)..... | 7 |
| სასწავლო პროცესისა და კოლეჯის საქმიანობის შეფასება..... | 34 |
| მონაცემთა ანალიზი (მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) | 39 |
| მასწავლებლის კითხვარის ანალიზი..... | 44 |
| საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზი..... | 46 |
| აკადემიური მოსწრების ანალიზი | 47 |
| ძირითადი მიგნებები | 48 |
| რეკომენდაციები | 49 |
| დანართი 1 | 50 |
| დანართი 2. | 53 |
| დანართი 3 | 57 |
| დანართი 4 | 60 |
| დანართი 5 | 62 |

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და სისტემატიურად ფასდება სასწავლო პროცესის ხარისხი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშს. გამოიკითხა 2017-2018 სასწავლო წლის მოდულური და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები, მოდულთა განმახორციელებლები და განხორციელდა მოდულებზე დასწრება-დაკვირვება.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, პროგრამების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარების მიზნით, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ან მისი არარსებობა.

გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;

- პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელთა საქმიანობის შესწავლა;
- კოლექტივით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლა;
- პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მოდულთა განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. ამისთვის კოლექტივში მიმართავს შერეული კვლევის მეთოდს - გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კითხვარების შედგენა, გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრება/შეფასება წარმოადგენს.

კვლევიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

- საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების შეფასება;
- შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებების შეფასება;
- პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების დონე.

კვლევაში საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის 2 ტიპის კითხვარი (დანართი 1; დანართი 2) იქნა გამოიყენებული, ხოლო მოდულური პროგრამების შეფასებისთვის სამი ტიპის კითხვარი (დანართი 3; დანართი 4; დანართი 5). ძირითადად გამოყენებული

იყო ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისაგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისათვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევდა. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ იყვნენ შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა კოლეჯის საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები და მოდულის განმახორციელებლები. საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებული იყო ალბათური შერჩევა, ხოლო ალბათური შერჩევის ტიპად - მარტივი შემთხვევითი შერჩევა, რადგან საკვლევი პოპულაციის ყოველ წევრს არჩევის ერთნაირი შანსი ჰქონოდა და პოპულაციის რომელიმე წევრის არჩევის ალბათობას არ ემოქმედა ამ პოპულაციის სხვა წევრების არჩევაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 70-მა პროფესიულმა სტუდენტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ექთნის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ფარმაცევტის თანაშემწის, კომპიუტერული გრაფიკოსისა და ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მათ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეაფასეს რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი და სასწავლო კურსი. საერთო ჯამში, შევსებულ კითხვართა რაოდენობამ შეადგინა 251. მათ გარდა 1 კითხვარი გაუქმდა.

კოლეჯის მიერ განხორციელებული ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს გავლილი ათი მოდული, ხოლო მოდულის განმახორციელებლებმა თავად მოდული. საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიმდინარეობდა მოდულთა საკონტაქტო საათზე დასწრება და სტრუქტურირებული კითხვართა წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვება. კვლევისთვის რესპოდენტთა ამ კატეგორიის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ისინი პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ; უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში და შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ პროფესიულ სტუდენტთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში.

ამგვარი კვლევა კოლეჯში რეგულარულად ტარდება, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვანჭდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განათლების მასწავლებლის (მოდულის განმახორციელებლის) საქმიანობისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შესახებ.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეული პროფესიული სტუდენტისგან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალური და ანონიმურია;
- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა.


მონაცემთა ანალიზი (საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)

ტექსტში მოცემულია მხოლოდ მონაცემთა შეგროვების შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი და კვლევისთვის საინტერესო მონაცემები. მონაცემები წარმოდგენილია პროგრამების მიხედვით.

წარმოგიდგინთ ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს.

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის 8 პროფესიული სტუდენტი არაორგანული ქიმიის, ბოტანიკის, ინგლისური ენისა და ადამიანის ფიზიოლოგია ანატომიის სასწავლო კურსებს აფასებდა. მათი შეფასებით, მასწავლებლები დროულად მიდიან მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე. თითოეული მათგანი კარგადაა მომზადებული მეცადინეობებისთვის, საინტერესოდ ხსნიან მასალას და იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადასაცემად.


პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკითხვებს ამომწურავად და გასაგებად პასუხობენ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტებს ესმით სასწავლო კურსის ძირითადი იდეები. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, რაც ხელს უწყობს მათი ანალიტიკური უნარების განვითარებას.

ზემოაღნიშნული ტენდენცია ვლინდება სხვა დებულებების შეფასების დროსაც. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები წინასწარ აცნობებენ განსახილველ თემებს, მათ მიერ დასახელებული სასწავლო მასალები სრულად შეესაბამება კურსს, ხოლო დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით - პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებს. საერთო ჯამში სასწავლო კურსების ხარისხს აფასებენ ძალიან კარგად და კარგად. არცერთ რესპოდენტს სასწავლო კურსები საშუალოდ და ცუდად არ შეუფასებია.

კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც



ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

არაორგანული ქიმიის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიული განათლების მასწავლებლად კომპეტენტურობისა და კარგი გადმოცემის უნარის გამო მიაჩნიათ. ასევე, ამბობენ, რომ პუნქტუალურია, მარტივად და გასაგებად საუბრობს და საინტერესოდ ხსნის მასალას. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდნენ.


ბოტანიკის მასწავლებელი კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმის გამო მიაჩნიათ კარგ მასწავლებლად, უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდნენ.

ადამიანის ფიზიოლოგია ანატომიის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად კომპეტენტურობისა და გადმოცემის კარგი უნარის გამო მიაჩნიათ. ისინი, ასევე ამბობენ, რომ ბოლომდე იხარჯება და ყველასთვის გასაგებ ენაზე ხსნის მასალას იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის საჭიროება დგება. გამოკითხული პროფესიული სტუდენტებიდან პასუხგაუცემელი დარჩა შემდეგი კითხვები: „რა არ მოგწონთ, პროფესიული განათლების მასწავლებელში?“ და „რას შეცვლიდით სასწავლო კურსის შინაარსში?“.

ინგლისური ენის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად პროფესიონალიზმის, განათლებულობის და გადმოცემის კარგი უნარის გამო მიაჩნიათ, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ჩართოს ყველა პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში და თანაბრად აძლევს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდნენ.


წარმოგიდგინთ ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტები წამლის ფორმათა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ბიოეთიკის სასწავლო კურსებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს აფასებდნენ. მათი აზრით, მასწავლებლები ძირითადად დროულად მიდიან მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე, ხოლო ბიოეთიკის სასწავლო კურსის მასწავლებლის შეფასებისას, ამ საკითხს ნაწილობრივ ეთანხმება 11-დან 7 გამოკითხული.



გამოკითხულთა სრული უმრავლესობით პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადებულები არიან თითოეული მეცადინეობისთვის, მასალის ნათლად გადასაცემად იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს და მათ შეკითხვებსაც ამომწურავად პასუხობენ. ანალიტიკური უნარის განვითარების


თვალსაზრისით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სასწავლო კურსებს შორის შეფასებისას გამოვლენილი თანათარღობა სანდოა და წინა კითხვებში გამოვლენილ ტენდენციას აგრძელებს შემდეგი კითხვაც - „პროფესიული განათლების მასწავლებელი უბიძგებს პროფესიულ სტუდენტებს, რომ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად“. აღნიშნულ კითხვაზე მიღებული პასუხები წინა კითხვებზე მიღებული პასუხების შესაბამისად გადანაწილდა.



კვლევაში მონაწილეთა აზრით, წამლის ფორმათა ტექნოლოგიის სასწავლო კურსის მასწავლებელი ყოველთვის მზადაა კლასგარეშე კონსულტაციების ჩასატარებლად, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტების შეფასება ნაწილობრივ განსხვავებულია ფარმაცევტული ქიმიისა და ბიოეთიკის სასწავლო კურსების განმახორციელებელთა შეფასებისას.

პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა კლასგარეშე კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან


■ წამლის ფორმათა ტექნოლოგია ■ ფარმაცევტული ქიმია ■ ბიოეთიკა



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, წამლის ფორმათა ტექნოლოგიისა და ფარმაცევტული ქიმიის სასწავლო კურსების მასწავლებლები წინასწარ აცნობენ განსახილველ თემებს, ხოლო ბიოეთიკის სასწავლო კურსის მასწავლებლის შეფასებისას აღნიშნულ დებულებას სრულად ეთანხმება გამოკითხულ რესპოდენტთა თითქმის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ერთგვარად ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და დებულებას ნაწილობრივ ეთანხმება. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა აარიდა პასუხს თავი.


პროფესიულმა სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ მეცადინეობისგან, პროფესიული განათლების მასწავლებელი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს

■ წამლის ფორმათა ტექნოლოგია ■ ფარმაცევტული ქიმია ■ ბიოეთიკა



ამასთან, გამოკითხულ რესპოდენტთა სრული უმრავლესობა სამივე სასწავლო კურსის შეფასებისას, მიიჩნევს რომ სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სასწავლო კურსის შესაბამისია, ხოლო დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობას. მხოლოდ ერთი სტუდენტი, ბიოეთიკის სასწავლო კურსის შეფასებისას, არიდებს თავს პასუხს.

ზემოაღნიშნულის გარდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასებისთვის მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენდა სასწავლო კურსების შეფასება. წამლის ფორმათა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ბიოეთიკის სასწავლო კურსებიდან შედარებით დაბალი შეფასება მიიღო ბიოეთიკის სასწავლო კურსმა.



ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

წამლის ფორმათა ტექნოლოგიის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად კომპეტენტურობის, სამართლიანობის, პუნქტუალობის გამო მიაჩნიათ. ასევე, ამბობენ, რომ ამომწურავად ხსნის მასალას და იცის როგორ იურთიერთოს სტუდენტებთან. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ და ვერც სასწავლო კურსის შინაარსში ცვლილებების საჭიროებას ხედავენ.

ფარმაცევტული ქიმიის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად კომპეტენტურობის გამო მიაჩნიათ. ასევე, ამბობენ, რომ პუნქტუალურია, მარტივად, გასაგებ ენაზე საუბრობს და საინტერესოდ ხსნის მასალას. მხოლოდ ერთი, მის უარყოფით თვისებად ასახელებს უარგონების გამოყენებას. სასწავლო კურსის შინაარსში შემდეგი სახის ცვლილებებს ითხოვს 2 პროფესიული სტუდენტი - „უფრო მეტ მაგალითს შემოვიტანდი, ყველაფრის თვალსაჩინოდ წარმოსაჩინად“ და „უფრო მეტ საათს დავუთმობდი ქიმიას, ვინაიდან რთული საგანია“.


ბიოეთიკის სასწავლო კურსის პროფესიული მასწავლებელი კარგ მასწავლებლად კომპეტენტურობის, კომუნიკაბელურობის, კარგად ახსნილი თემის გამო მიაჩნიათ. ასევე, ამბობენ, რომ მეგობრული პიროვნებაა. 11 გამოკითხულიდან მხოლოდ ორი გამოკითხული რესპოდენტი ასახელებს უარყოფით თვისებას. ერთი ამბობს, რომ არ მოსწონს, მის მიერ ლექციების გაცდენა, ხოლო მეორეს - ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და დაგვიანება. სასწავლო კურსის შინაარსში კი არაფერს შეცვლიდნენ.

საერთო ჯამში, ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის სტუდენტები პროგრამას დადებითად აფასებენ. თუმცა მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე ნაკლები დადებითი შეფასებების პროცენტული წილი ბიოეთიკის სასწავლო კურსზე მოდის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ლექციები არ გაცდეს, თითოეული მეცადინეობა დაიწყოს დროულად, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს კლასგარეშე კონსულტაციები და პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ მიენოდოთ ინფორმაცია განსახილველ თემებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ პრაქტიკოსი ექთნისა და ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის | კურსის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს


პრაქტიკოსი ექთნისა და ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის 7-მა პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში. სწავლა-სწავლების პროცესის შეფასების მიზნით, ისინი პასუხობდნენ შეკითხვას, რამდენად დროულად მიდიოდა პროფესიული განათლების მასწავლებელი მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე. მიღებული შედეგებით ირკვევა, რომ ყველა სასწავლო კურსის განმახორციელებელი დროულად მიდის მეცადინეობებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის დროულად მოდის მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე



გამოკითხული რესპოდენტები აცხადებენ, რომ მასწავლებლები ყოველთვის მომზადებულები არიან მეცადინეობებისთვის და აქტიურად იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადასაცემად. აღნიშნულს სრულად ეთანხმება ყველა გამოკითხული პროფესიული სტუდენტი საქმიანი ურთიერთობების კულტურის, სამედიცინო ბიოლოგიის, ავადმყოფის მოვლისა და ბავშვთა დაავადების სასწავლო კურსების განმახორციელებლების შეფასებისას. ინგლისური ენის განმახორციელების შეფასებისას აღნიშნულ დებულებას ეთანხმება გამოკითხული 7 სტუდენტიდან 6, ხოლო ნაწილობრივ ეთანხმება მხოლოდ ერთი. მათივე შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები ძირითადად რწმუნდებიან, ესმით თუ არა სტუდენტებს, კურსის ძირითადი იდეები და საკვანძო თემები. მიღებული შედეგები ასე გამოიყურება.


პროფესიული განათლების მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები



გამოკითხულ რესპოდენტთა შეფასებით, მათ აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში. ამასთან, სასწავლო კურსების განმახორციელებლები უბიძგებენ სტუდენტებს, იაზროვნონ კრიტიკულად, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ანალიტიკური უნარების განვითარებას. აღნიშნულს ეთანხმება ყველა გამოკითხული პროფესიული სტუდენტი ყველა სასწავლო კურსის განმახორციელებლის შეფასებისას.


კვლევის მონაწილეთა აზრით, მასწავლებლის მიერ დასახელებული სასწავლო მასალები სრულად ან ნაწილობრივ შეესაბამება კურსს, ხოლო დებულების „დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით, სრულად შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს“ შეფასებისას, მიღებული შედეგები ასე გამოიყურება.

დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს



გამოკითხულები სასწავლო კურსების ხარისხს ძირითადად ძალიან კარგად, ან კარგად აფასებენ, ხოლო კურსებს შორის ყველაზე მეტად მოსწონთ ავადმყოფის მოვლის სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც



ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

თუ რატომ მიაჩნიათ ავადმყოფის მოვლის სასწავლო კურსის განმხორციელებელი კარგ მასწავლებლად მხოლოდ 1 გამოკითხული რესპოდენტი პასუხობს შემდეგს: „გარკვეულად და საინტერესოდ ხსნის ყველა თემას“, ხოლო კითხვებს უარყოფით თვისებებსა და სასწავლო კურსის შინაარსობრივ ცვლილებებზე უპასუხოდ ტოვებენ გამოკითხული რესპოდენტები.

ბავშვთა დაავადებების, სამედიცინო ბიოლოგიისა და ინგლისური ენის მასწავლებლების არც დადებით და არც უარყოფით თვისებებს პროფესიული სტუდენტები არ ასახელებენ. ასევე არ პასუხობენ კითხვას „რას შეცვლიდით სასწავლო კურსის შინაარსში?“.


საქმიანი ურთიერთობების კულტურის სასწავლო კურსის განმხორციელებელი, ერთ გამოკითხულს კარგ მასწავლებლად იმიტომ მიაჩნია, რომ „ამომწურავად გვპასუხობს კითხვებზე და ყველა თემას განიხილავს ამომწურავად“. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ გამოკითხულები და არც სასწავლო კურსის შინაარსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს.

საერთო ჯამში, რესპოდენტები დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სასწავლო კურსებს. მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანმა მომავალშიც აქტიურად გააგრძელოს მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება პროფესიულ სტუდენტთა აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესი წარიმართოს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, მეცადინეობები იყოს მრავალფეროვანი და ახალი მასალა ილუსტრაციებითა და მაგალითებით გამდიდრებული.

წარმოგიდგინთ პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის II კურსის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს


კვლევის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული სტუდენტები ოთხ სასწავლო კურს (შინაგანი სნეულებები, სამედიცინო ეთიკა, ქირურგია, ნერვული და ფსიქიური დაავადებები) და პროფესიული განათლების მასწავლებლებს აფასებდნენ. მათი შეფასებით, მასწავლებლები ყოველთვის დროზე და მომზადებულნი მიდიან მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელი კარგადაა მომზადებული თითოეული მეცადინეობისთვის




გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადასაცემად. 13 გამოკითხულიდან აღნიშნულ დებულებას არ ეთანხმება შინაგანი სნეულებების სასწავლო კურსის განმხორციელებლის შეფასებისას ერთი გამოკითხული, ხოლო ნერვული და ფსიქიური დაავადებების მასწავლებლის შეფასებისას ნაწილობრივ ეთანხმება 13-დან 5 გამოკითხული პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად




ყველა გამოკითხული სტუდენტი მიიჩნევს, რომ ყველაზე საინტერესოდ ხსნის მასალას სამედიცინო ეთიკისა და ნერვული და ფსიქიური დაავადებების სასწავლო კურსების განმახორციელებლები, ხოლო კითხვაზე ამომწურავად და გასაგებად პასუხობენ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკითხვებს, შედეგები ასე გადანაწილდა.



ერთი მხრივ, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული განათლების მასწავლებლებიც ზრუნავენ იმაზე, რომ სტუდენტებმა იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად. ამ დებულებას ეთანხმება ყველა გამოკითხული რესპოდენტი სამედიცინო ეთიკისა და ნერვული და ფსიქიური დაავადებების სასწავლო კურსების განმახორციელებლების შეფასებისას.

პროფესიული განათლების მასწავლებელი უბიძგებს სტუდენტებს, იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად

■ ვეთანხმები ■ ნაწილობრივ ვეთანხმები ■ არ ვეთანხმები




გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლის მიერ დასახელებული სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები შეესაბამება სასწავლო კურსს, ხოლო დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით - სტუდენტთა შესაძლებლობებს.

კვლევის მონაწილეები სასწავლო კურსების ხარისხს ძირითადად აფასებენ ძალიან კარგად და კარგად. ძალიან კარგად შეფასდა სამედიცინო ეთიკისა და ნერვული და ფსიქიური დაავადებების სასწავლო კურსები, ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებელი მიიღო შინაგანი სწეულებების სასწავლო კურსმა.

კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც

■ ქორეგია ■ შინაგანი სწეულებები ■ ნერვული და ფსიქიური დაავადებები ■ სამედიცინო ეთიკა



ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

ქირურგიის სასწავლო კურსის მასწავლებელი კარგ პროფესიული განათლების მასწავლებლად პროფესიონალიზმის, კარგად ახსნილი თემებისა და გადმოცემის უნარის გამო მიაჩნიათ. 13 გამოკითხულიდან, უმრავლესობა არ ასახელებს უარყოფით თვისებებს, ან უპასუხოდ ტოვებს შეკითხვას. მხოლოდ ერთი რესპოდენტი ამბობს შემდეგს: „ცოტა მეტ დროს უთმობს თავის ისტორიებს, მაგრამ საინტერესოა.“ 13 გამოკითხულიდან 3 ამბობს, რომ მეტ პრაქტიკულ საათებს დაამატებდნენ, ხოლო უმრავლესობა არაფერს შეცვლიდა სასწავლო კურსის შინაარსში.

შინაგანი სწეულებების სასწავლო კურსის მასწავლებლის დადებით თვისებად პროფესიონალიზმს, გადმოცემის უნარსა და მეგობრულობას მიიჩნევენ. უარყოფით თვისებას არ ასახელებენ, ხოლო კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდნენ. მხოლოდ ერთი გამოკითხული ამბობს შემდეგს: „უფრო საინტერესო და მრავალფეროვან თემებს დავამატებდი.“


ნერვული და ფსიქიური დაავადებების სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად იმის გამო მიაჩნიათ, რომ თავის საქმის პროფესიონალია, აქვს კარგი ახსნისა და გადმოცემის უნარი, სერიოზულია და პუნქტუალური. მხოლოდ ერთი გამოკითხული მის უარყოფით თვისებად ასახელებს სიმკაცრეს, ხოლო დანარჩენი უპასუხოდ ტოვებს შეკითხვას. სასწავლო კურსის შინაარსში კი რესპოდენტები არაფერს შეცვლიდნენ.

სამედიცინო ეთიკის განმახორციელებელს სრული უმრავლესობით ახასიათებენ შემდეგნაირად: „კომპეტენტურია, პუნქტუალური, კომუნიკაბელური, საინტერესოდ ხსნის მასალას, სამართლიანია, აქვს ძალიან კარგი გადმოცემის უნარი, დადებითი ადამიანია“. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ, რადგან ყველა მისი თვისება მოსწონთ, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილებისას მხოლოდ ერთი გამოკითხული ამბობს, რომ ისურვებდა საათების დამატებას. გამოკითხულთა უმრავლესობა კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდა.

საერთო ჯამში, მეორე კურსის სტუდენტები სასწავლო კურსებს აფასებენ კარგად, განსაკუთრებით კი ორ სასწავლო კურსს და ამ საგნების განმახორციელებლებს.


წარმოგიდგინო პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III კურსის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 მესამეკურსელი აფასებდა 4 სასწავლო კურსს (ონკოლოგია, მედიცინის ისტორია, მეანობა-გინეკოლოგია, მართვა და ლიდერობა). მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებლები ყოველთვის დროულად და მომზადებული მიდიან მესაძინებებსა და დათქმულ შეხვედრებზე, თუმცა განსხვავებულად აფასებენ მათ მიერ მაგალითებისა და ილუსტრაციების გამოყენებას მასალის ნათლად გადასაცემად. აღნიშნული დებულებას გამოკითხულთა ნახევარი არ ეთანხმება ონკოლოგიის განმახორციელებლის შეფასებისას.




გამოკითხულთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები საინტერესოდ ხსნიან მასალას და შეკითხვებსაც ამომწურავად პასუხობენ. ასევე, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები. მიღებული შედეგები ასე გამოიყურება.

მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები




გამოკითხულთა უმრავლესობით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში. ასევე, მასწავლებლები უბიძგებენ მათ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია და მეცადინეობებზე ხდება მოსაზრებების გაცვლა და აქტიური კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის.

მასწავლებელი უბიძგებს სტუდენტებს, იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად



გამოკითხული რესპოდენტებიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ მათ იციან, თუ რას უნდა მოელოდნენ მეცადინეობიდან, გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ განსახილველ თემებსა და საკითხებს. ასევე მათი შეხედულებით, მასწავლებლების მიერ გამოყენებული

სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო კურსთან, ხოლო დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება სტუდენტთა შესაძლებლობებს. შესაბამისად, პოზიტიურად ფასდება სასწავლო მასალების როგორც ხელმისაწვდომობა, ასევე მრავალფეროვნება.



გამოკითხული რესპოდენტები სასწავლო კურსებს აფასებენ კარგად.

ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

ონკოლოგიის სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად კომპეტენტურობის, კომუნიკაბელურობისა და მოსმენის კარგი უნარის გამო მიაჩნიათ. უარყოფით თვისებად 2 გამოკითხული უინტერესო ლექციას ასახელებს. გამოკითხული 6 სტუდენტიდან 2 არ პასუხობს შეკითხვას, თუ რას შეცვლიდნენ სასწავლო კურსის შინაარსში, 2 ამბობს, რომ მასწავლებელმა კლასგარეშე ლიტერატურაც უნდა გამოიყენოს მასალის ახსნისას, ხოლო ორი კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდა.

მედიცინის ისტორიის სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად მოსმენის უნარის, ამომწურავად გაცემული პასუხებისა და ხასიათის გამო მიაჩნიათ. 6 გამოკითხულიდან 1 რესპოდენტი უარყოფით თვისებას ასახელებს შემდეგს - „ზოგჯერ არ აქვს კითხვაზე პასუხი“, ხოლო კურსის შინაარსში გამოკითხულები არაფერს შეცვლიდნენ.

მართვა და ლიდერობის სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად პროფესიონალიზმის, საინტერესოდ და გასაგებად ახსნილი ლექციისა და მეგობრულობის გამო მიაჩნიათ. უარყოფით თვისებას ერთი გამოკითხული ასახელებს შემდეგს: „ზოგჯერ არის სტუდენტებთან ცივი“. სტუდენტთა შეფასებით, სასურველი იქნებოდა, თუკი კურსს უფრო მეტი პრაქტიკული საათები დაეთმობოდა.


მეანობა-გინეკოლოგიის სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად კომუნიკაბელურობის, პროფესიონალიზმის, საინტერესოდ და გასაგებად ახსნილი მასალის გამო მიაჩნიათ. უარყოფით თვისებას ერთი სტუდენტი ასახელებს შემდეგს: „იშვიათ შემთვევაში სტუდენტებთან არის ცივი“. ერთი გამოკითხულის აზრით, კურსს უფრო მეტი პრაქტიკული საათები უნდა ეთმობოდა.

გამოკითხული პროფესიული სტუდენტებიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ შედარებით დაბალ შეფასებას იმსახურებს ონკოლოგიის სასწავლო კურსი და მისი განმახორციელებელი. სასურველი იქნება, თუ ყველა სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება სხვადასხვა სწავლების მეთოდები და მრავალფეროვანი აქტივობები.


წარმოგიდგენთ ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს

ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 19 პროფესიული სტუდენტი მონაწილეობდა გამოკითხვაში. მათ შეაფასეს კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარების, სამოქალაქო სამართლისა და სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებისა და ინგლისური ენის სასწავლო კურსები და მათი განმახორციელებლები. კვლევის ფარგლებში შეფასდა კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარების სასწავლო კურსის ორი განმახორციელებელი. შედეგების წარდგენისას, ისინი წარმოდგენილი იქნებიან როგორც „ტექნიკა და აქსესუარები I“ (აფასებს 9 გამოკითხული) და „ტექნიკა და აქსესუარები II“ (აფასებს 10 გამოკითხული). სამოქალაქო სამართლისა და სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების სასწავლო კურსს აფასებს 19 გამოკითხულიდან 18 გამოკითხული, რადგან ერთი კითხვარი გაუქმდა.

პროფესიული სტუდენტები აფასებდნენ სასწავლო კურსების განმახორციელებელთა დროულად მისვლას მეცადინეობებზე. მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ ყველა განმახორციელებელი დროულად მიდის მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე.




სასწავლო კურსების განმახორციელებლები ძირითადად კარგად მომზადებული მიდიან მეცადინეობებზე და იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადასაცემად.




გამოკითხულ რესპოდენტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები საინტერესოდ ხსნიან მასალას და მათ შეკითხვებსაც ამომწურავად პასუხობენ. უმეტესად ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები.

მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა დარწმუნდეს, სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები




ძირითადად სასწავლო კურსების განმახორციელებლები ხელს უწყობენ პროფესიული სტუდენტების ანალიტიკური უნარების განვითარებას, რადგან აძლევენ შესაძლებლობას დასვან კითხვები და იაზროვნონ კრიტიკულად. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია და აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის.


მასწავლებელი უბიძგებს სტუდენტებს, იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად



გამოკითხული რესპოდენტები ძირითადად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) შეესაბამება სასწავლო კურსს. იგივე ტენდენცია გრძელდება, როდესაც პროფესიული სტუდენტები აფასებენ დავალებების სირთულესა და მოცულობას მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.



კურსის ხარისხს არცერთი რესპოდენტი არ აფასებს უარყოფითად, თუმცა ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო ინგლისური ენის სასწავლო კურსის განმახორციელებელმა. მიღებული მონაცემები ასე გამოიყურება.




ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

გამოკითხული რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სამოქალაქო სამართლისა და სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების, კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარების და უცხო ენის სასწავლო კურსების განმახორციელებლები კარგ მასწავლებლად პროფესიონალიზმის, კარგად და დეტალურად ახსნილი მასალის გამო მიაჩნიათ. უარყოფით თვისებას ვერ ასახელებენ, ხოლო კურსის შინაარსში არაფერს შეცვლიდნენ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი მათთვის მისაღებია და პროგრამაში შემავალი საგნები მათი პროფესიის შესაბამისი.

წარმოგიდგინთ კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს


კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები აფასებდნენ 3 სასწავლო კურსს. გამოიკითხა 6 რესპოდენტი, რომლებმაც შეაფასეს გრაფიკული რედაქტორების, ინგლისური ენისა და სამოქალაქო სამართლისა და სამენარმეო საქმიანობის სასწავლო კურსების განმახორციელებლები. ისინი აფასებდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მეცადინეობებსა და შეხვედრებზე დროულად მისვლას. ამ მხრივ, გამოკითხულთა 100% დადებითად აფასებს გრაფიკული რედაქტორებისა და სამოქალაქო სამართლისა და სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების სასწავლო კურსების განმახორციელებლებს და აცხადებენ, რომ ისინი ყოველთვის დროულად მიდიან მეცადინეობებზე.

მასწავლებელი ყოველთვის დროზე მოდის მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე




გამოკითხული რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები მომზადებული მიდიან მეცადინეობებზე, ასევე იყენებენ მაგალითებსა და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადასაცემად. იგივე დადებითი ტენდენცია გრძელდება მასალის საინტერესოდ ახსნასთან დაკავშირებით.

მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის მასალას



პროფესიული განათლების მასწავლებლები შეკითხვებს პასუხობენ ამომწურავად და გასაგებად. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები. სასწავლო პროცესში სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ


დისკუსიებში. შესაბამისად წახალისებულია შეხედულებების გაცვლა-გამოცვლა. ზემოაღნიშნული ტენდენცია, იგივე პროცენტული მაჩვენებლით, არ ვლინდება სხვა დებულების შეფასების დროს. გამოკითხულ რესპოდენტთა ნაწილი ამბობს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები წინასწარ აცნობენ განსახილველ თემებს.



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, მასწავლებლების მიერ დასახელებული სასწავლო მასალები შეესაბამება კურსს, ხოლო დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით - პროფესიული სტუდენტთა შესაძლებლობებს. შესაბამისად, სასწავლო პროგრამის შინაარსი მათთვის მისაღებია და პროგრამაში შემავალი საგნები მათი პროფესიის შესაბამისი. საერთო ჯამში, ყველაზე დადებითად შეფასდა გრაფიკული რედაქტორების სასწავლო კურსი.

კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც

■ გრაფიკული რედაქტორები ■ ინგლისური ენა ■ სამოქალაქო სამართალი



ღია კითხვების ანალიზის შედეგები თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

გრაფიკული რედაქტორების სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად იმიტომ მიაჩნიათ, რომ კარგად ხსნის მასალას, საჭიროებისამებრ ეხმარება მათ და საერთოდ არ აგვიანებს და აცდენს მეცადინეობებს. ინგლისური ენის სასწავლო კურსის განმახორციელებელი კარგ მასწავლებლად პროფესიონალიზმისა და კარგი აქცენტის გამო მიაჩნიათ, ხოლო სამოქალაქო სამართლისა და სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების სასწავლო კურსის განმახორციელებელი - განათლებულობისა და კარგად ახსნილი მასალის გამო.


არცერთი სასწავლო კურსის განმახორციელებლის უარყოფით თვისებებს გამოკითხული რესპოდენტები არ ასახელებენ და არც სასწავლო კურსების შინაარსში შეიტანდნენ ცვლილებებს.

მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე დადებითად შეფასებულია გრაფიკული რედაქტორების სასწავლო კურსი, თუმცა სასურველია, განმახორციელებლების მიერ აქცენტი გაკეთდეს პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობებზე და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დავალებების შემუშავებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს წინასწარ მიეწოდოთ ინფორმაცია განსახილველ თემებთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესისა და კოლეჯის საქმიანობის შეფასება

70 გამოკითხულმა რესპოდენტმა დამატებით შეაფასა სასწავლო პროცესი, რომლის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს კოლეჯის მომავალი საქმიანობა.


პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს როგორც მათ მიერ, ასევე სასწავლო კურსების განმახორციელებლების მიერ, მეცადინეობების გაცდენა. მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სტუდენტები ხშირად არ აცდენენ მეცადინეობებს. მხოლოდ მცირე მათგანი (11%) აღნიშნავს, რომ ხშირად აცდენენ მეცადინეობებს.



გამოკითხული რესპოდენტებიდან, რომლებმაც აღნიშნეს რომ ხშირად აცდენენ მეცადინეობებს, ხუთი მათგანი მიზეზად სამსახურს ასახელებს, რადგან ვერ ათავსებენ სამსახურსა და სწავლას ერთმანეთთან.


გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა (59%) აღნიშნავს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები საერთოდ არ აცდენენ მეცადინეობებს.

აქედნენ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლები მეცადინეობებს?




70 გამოკითხული რესპოდენტიდან 48-ს (69%) საცებით აკმაყოფილებს კოლეჯში სწავლის პირობები. არ აკმაყოფილებს მხოლოდ ორ პროფესიულ სტუდენტს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან.

გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები?



რესპოდენტები, რომლებსაც ნაწილობრივ აკმაყოფილებთ, ან არ აკმაყოფილებთ სწავლის პირობები, ასახელებენ უკმაყოფილების სხვადასხვა მიზეზს. ძირითადად სწავლის პირობებით უკმაყოფილების მიზეზად მატერიალური კუთხით ცენტრალური გათბობის სისტემის არარსებობა სახელდება.

რა არის სწავლის პირობებით უკმაყოფილების მიზეზი?




სხვა მიზეზები, რომლებიც გამოკითხულების მიერ დასახელდა, ძირითადად ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად, ან არ იძლევა რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას, ან არსებითად სხვა ხასიათის მაგალითს წარმოადგენს. მათ მიერ დასახელებული სწავლის პირობებით უკმაყოფილების მიზეზები შემდეგია:


- არასაკმარისი პირობებია, სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად;
- არ არის შესაბამისი გარემო;
- არ გვაქვს სასმელი წყალი;
- ინგლისურისთვის არ არის საჭირო დრო გამოყოფილი;
- პირობები პრაქტიკული მეცადინეობისთვის;
- ზოგ აუდიტორიაში არაა შუქი.

გამომდინარე იქიდან, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ ინფორმაცია კრედიტის მნიშვნელობისა და მათი დაგროვების შესახებ, სასურველი იყო პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეცნოთ მათთვის სილაბუსები. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებლებმა სტუდენტებს გააცნეს სილაბუსები და მიაწოდეს ინფორმაცია კრედიტების შესახებ.

იცით თუ არა, რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მიიღოთ ის?




წარმოგიდგინათ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელმა კურსის დაწყებამდე სილაბუსი?




ზოგადად სილაბუსებით პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ სწავლის შედეგებზე უნდა გავიდნენ შესაბამისი სასწავლო კურსით, რა სახის შეფასების მეთოდებით განხორციელდება მათი შეფასება და რომელი სასწავლო რესურსები დასჭირდებათ კურსის განმავლობაში. შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო გარკვეულიყო, რამდენად დაეხმარათ მათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სილაბუსების გაცნობა სასწავლო პროცესის

ორგანიზებაში. მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ სილაბუსების წინასწარ გაცნობა დაეხმარა მათ სწავლების ორგანიზებაში.




გამოკითხული პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა, 70 გამოკითხულიდან 55, ანუ 79% სავსებით კმაყოფილია მისი ძირითადი სპეციალობით, რაც გარკვეულწილად კავშირშია სწავლების პროცესთან და მის ხარისთან.



კოლეჯის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მნიშვნელოვან დამაზუსტებელ კითხვას წარმოადგენდა კოლეჯის საერთო შეფასება. გამოკითხული რესპოდენტების ნახევარზე მეტი აღნიშნავს,

რომ მათი მოლოდინი გამართლდა, 70 გამოკითხულიდან 18 მათგანს მოლოდინები ნაწილობრივ გაუმართლდა, მაგრამ მაინც კმაყოფილები არიან. არცერთი გამოკითხული არ აღნიშნავს, რომ „საერთოდ არ უნდა ჩამებარებინა ამ კოლეჯში.“



აღნიშნული კითხვარებიდან მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ კოლეჯმა უნდა გააგრძელოს ინტენსიური მუშაობა მატერიალური რესურსების გაუმჯობესების კუთხით. აქცენტი უნდა გაკეთდეს გათბობის სისტემაზე და სტუდენტთათვის კომფორტული გარემო-პირობების შექმნაზე.

მონაცემთა ანალიზი (მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის მიერ განხორციელებული ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა. 2017-2018 სასწავლო წლის 10 პროფესიული სტუდენტი აფასებდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებს, მოდულებს, შეფასების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას, სასწავლო პროცესს, სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსებს.


გამოკითხული 10 რესპოდენტიდან ზოგმა არ შეაფასა გარკვეული მოდული. მიღებული მონაცემებით კი გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ კოლეჯის საქმიანობას. მათ კოლეჯის წარმომადგენლებისგან მიიღეს ინფორმაცია მოდულური სწავლებისა და მოდულური პროგრამის თავისებურებების შესახებ, ხოლო მოდულთა განმახორციელებლებმა გააცნეს მათ მოდულის სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და მათი მიღწევის დადასტურების პირობები. მათთივე შეფასებით, პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოადგებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. მთლიანობაში ამბობენ, რომ იცნობენ მოდულურ პროგრამას და შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმას. მხოლოდ ერთი პროფესიული სტუდენტი არ პასუხობს კითხვას „გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს“.

პროფესიულმა სტუდენტებმა ასევე შეაფასეს სასწავლო პროცესი. კერძოდ, აფასებდნენ რამდენად გასაგებად ხსნიდა მოდულის განმახორციელებელი მასალას. 10 მოდულის განმახორციელებლიდან 8 ყველაზე დადებითად შეფასდა. შემდეგი მოდულების განმახორციელებლები შეფასდნენ 100%-იანი დადებითი შეფასებით:

- გაცნობითი პრაქტიკა;
- ინფორმაციული წიგნიერება 2;
- ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა;
- ოჯახი, თემი და საალმზრდელი დანესებულებები;
- პროფესიული ეთიკა;
- საალმზრდელი პროცესი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.


ინგლისური ენის მოდულის განმახორციელებლის მიერ მასალის ახსნა უმეტესად დადებითად შეფასდა, განსხვავებით ადრეული განვითარების თავისებურებების მოდულის განმახორციელებლისგან, რომელიც შეაფასა 8 რესპოდენტმა. მათგან 4 პროფესიული სტუდენტი შეფასებისას აღნიშნავს, რომ „გადმოცემის უნარი არ აქვს“, „გადმოცემის უნარი კი ჰქონდა, მაგრამ ვერ ხსნიდა გასაგებად. ასევე დროის

მენეჯმენტს ვერ ანაწილებდა.“, „უპასუხისმგებლობა“, „თავის საქმის კარგი მცოდნეა, მაგრამ არ აქვს გადმოცემის უნარი. დროის მენეჯმენტს ვერ ანაწილებდა.“



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, სწავლის პროცესში ისინი იღებენ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას მოდულის განმახორციელებლებისგან. ყველაზე დადებითად შეფასდა ათიდან 6 მოდულის განმახორციელებელი, ხოლო ადრეული განვითარების თავისებურებების მოდულის განმახორციელებლის დადებითად შეფასების სიხშირე არ არის მაღალი. 8 გამოკითხული პირიდან 5 ეთანხმება პირობას, რომ იღებდნენ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, 2 ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 1 არ ეთანხმება პირობას. იგივე ტენდენცია გრძელდება, როდესაც გამოკითხული რესპოდენტები აფასებენ მოდულთა განმახორციელებლების მიერ სტუდენტთა მიღწევებთან დაკავშირებით შეფასების, რჩევებისა და რეკომენდაციების სისტემატურ მიცემას.

მასწავლებელი სისტემატურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით




პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს 10 მოდულიდან 9 მოდულის შემთხვევაში. აღნიშნულ დებულებას ადრეული განვითარების თავისებურებების მოდულის შეფასებისას 8 გამოკითხულიდან 3 ეთანხმება, 3 ნაწილობრივ ეთანხმება და 2 ეწინააღმდეგება. შესაბამისად, განხორციელებული მოდულებიდან დადებითად შეფასების მაჩვენებელი დაბალია ადრეული განვითარების თავისებურებების მოდულის შემთხვევაში.

პროფესიული სტუდენტები ასევე მიიჩნევენ, რომ მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად. გამოკითხვის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა შეათვალეს სასწავლო გარემო და რესურსები. მათი შეფასებით, ყველა გამოკითხული ყველა მოდულის შეფასებისას ეთანხმება პირობას, რომ შეთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს და ისინი ხელმისაწვდომია მათთვის. ასევე სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია მოდულის მიზნების შესაბამისად.

დამაზუსტებელი ინფორმაციის მიღების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით უნდა შეეფასებინათ მოდულის განმხორციელებლები. უმრავლეს შემთხვევაში გამოკითხული რესპოდენტები თავს არიდებდნენ პასუხს, მაგრამ საღმრდელო პროცესის, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის,

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებების და ჯანმრთელობა და უსაფრთხოების მოდულების განმახორციელებლები შეფასდნენ როგორც „საუკეთესო მასწავლებელი“.

სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე სიარული წარმოადგენს. მოდულთა განმახორციელებლების მიერ განხორციელებელი მრავალფეროვანი აქტივობებით პროფესიულ სტუდენტთა დაინტერესება იზრდება, რომელიც განაპირობებს მათი მეცადინეობებზე დასწრების მაღალ მაჩვენებელს. მიღებული შედეგებით ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ძირითადად აქვთ უმნიშვნელო გაცდენები. შესაბამისად, სასწავლო პროცესით კმაყოფილების მაჩვენებელი მიღებული შედეგების პირდაპირპროპორციულია.



მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო პროცესით. მხოლოდ ერთი მოდულის განმახორციელებლის დადებითად შეფასების მაჩვენებელი არის დაბალი.

მასწავლებლის კითხვარის ანალიზი

მოდულის განმახორციელებელთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნებისთვის. მასწავლებლების მიერ გამოთქმული შენიშვნები ან რეკომენდაციები შეიძლება გამხდარიყო ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების მიზეზი. შესაბამისად, მათი აზრი მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 10 მოდულის განმახორციელებელი, რომელთაგან ორს ჰქონდა ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება. მოდულის განმახორციელებლები სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში არ მონაწილეობდნენ და ამის მიზეზად 4 გამოკითხული ასახელებს პროგრამის განხორციელების პროცესში გვიან ჩართვას. კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2016 წელს მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო ისინი პროგრამის განხორციელებაში ჩაერთვნენ 2018 წლის გაზაფხულზე. შესაბამისად, სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. 10-დან 9 მოდულის განმახორციელებელი კი აღნიშნავს, რომ თვითონ შეიმუშავა კალენდარული გეგმა, ხოლო ინფორმაციული წიგნიერება 2-ის მოდულის განმახორციელებელი ამბობს, რომ ნაწილობრივ მონაწილეობდა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში.

მოდულის განმახორციელებლებს სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტებისთვის არ მოუხდენიათ, რადგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები ჯგუფში არ ყავთ. გამოკითხვით ასევე ირკვევა, რომ მათთვის მისაღებია მოდულის სტრუქტურა და გასაგებია მოდულის შინაარსი, ასევე მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას და განმარტებას არ საჭიროებენ. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას მათ მოდულის დამხმარე ჩანაწერები სრულად გაითვალისწინეს.

მოდულის განმახორციელებლებმა შეათასეს, რამდენად შეესაბამებოდა თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროფესიული ეთიკის მოდულის განმახორციელებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა დამატებითი ლიტერატურის მოძიება, ხოლო ჯანმრთელობა და უსაფრთხოების მოდულის განმახორციელებელი ამბობს, რომ მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის მნიშვნელოვანია დაემატოს სწავლების მეთოდად -

ველზე სწავლება. ადრეული განვითარების თავისებურებების მოდულის განმახორციელებელი აღნიშნავს, რომ რეკომენდირებული შეფასების ინსტრუმენტები ნაწილობრივ შეესაბამება დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმს, თუმცა არ აკონკრეტებს, რატომ მიაჩნია ნაწილობრივ შესაბამისად.

ორი მოდულის (ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულებები) განმახორციელებელი აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ ადეკვატურია მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად და ასევე ნაწილობრივ ადეკვატურია საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ. მათ მიაჩნიათ, რომ იმაზე მეტი საათებია გათვალისწინებული მოდულისთვის და სწავლის შედეგებისთვის, ვიდრე ეს საჭიროა.

მოდულის განმახორციელებლები აღნიშნავენ, რომ სრულად უზრუნველყოფილია მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით.

მოდულის განმახორციელებელთა ნახევარი აღნიშნავს მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საჭიროებენ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას, ხოლო მეორე ნახევარი აღნიშნავს, რომ არ საჭიროებს არანაირ ტრენინგს.

კვლევის ფარგლებში მოდულის განმახორციელებლებს უნდა წარმოედგინათ დამატებით სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებების მოდულის განმახორციელებელი აღნიშნავს, რომ მე-2 და მე-3 სწავლის შედეგები შესაძლებელია გაერთიანდეს; ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულებების მოდულის განმახორციელებელი კი აღნიშნავს, რომ სასურველია ქართულენოვანი ლიტერატურის შემუშავება ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულებების მოდულისთვის. დანარჩენი მოდულის განმახორციელებლები რეკომენდაციებს არ იძლევიან.

საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზი

კვლევის ფარგლებში ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 10 მოდულის ფარგლებში 13-ჯერ განხორციელდა საკონტაქტო საათზე დასწრება.

მიღებული მონაცემების გაანალიზებით ირკვევა, რომ ძირითადად საკონტაქტო საათის თემა შესაბამისობაშია წინასწარ განერილ კალენდარულ გეგმასთან. მხოლოდ 2 შემთხვევაში ფიქსირდება ნაწილობრივი შესაბამისობა, ორივეჯერ აღრეული განათლების თავისებურებების მოდულის შემთხვევაში. კითხვარით ირკვევა, რომ საკონტაქტო საათი ეთმობოდა წინა კვირების თემატიკას. აქედან გამომდინარე, გაკვეთილის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამებოდა გაკვეთილის მიზანს. დანარჩენ შემთხვევებში აქცენტი გაკეთებული იყო ახალი მასალის ახსნაზე, თუმცა ის ინტეგრირებული იყო წინა მეცადინეობებზე მიღებულ ცოდნასთან. ამასთან პროფესიული სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ დიალოგებში, ასრულებდნენ პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და პრეზენტაციებს, ხოლო მასწავლებლების მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამებოდა სწავლების მიზანს. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და აქტიურობა სასწავლო პროცესში შედარებით დაბალი იყო აღრეული განვითარების თავისებურებების მოდულის შემთხვევაში. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტებისთვის კითხვებზე დასმით ცდილობდა მათი ჩართულობის გაზრდას.

კითხვარების გაანალიზებით ასევე ირკვევა, რომ სასწავლო გარემო შეესაბამება სწავლების მიზანს. ის უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისასთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და საგანმანათლებლო რესურსებით. აუდიტორიაში არის კომპიუტერი სრული კომპლექტით, მონიტორი, დაფა, ფლიფჩარტის დაფა და სასწავლო რესურსები. მეცადინეობები მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში. სტუდენტები და მასწავლებლები ურთიერთპატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს. პროფესიული სტუდენტები თავისუფლად საუბრობენ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მეცადინეობებზე სუფევს თანამშრომლობითი გარემო.

სწავლის შედეგების განმტკიცება მასწავლებლების მიერ მიმდინარეობდა უკვე განვილი მასალის განმეორებითა და ახალ მასალასთან ინტეგრირებით; ხორციელდებოდა პრეზენტაციების წარდგენა, პროფესიული საკითხების განხილვა და ჯგუფური დავალებების შესრულება.

მასწავლებლები იყვნენ აქტიურები, კომუნიკაბელურები, კეთილგანწყობილნი პროფესიული სტუდენტების მიმართ და სასწავლო პროცესში ჩართულნი ჰყავდათ ყველა პროფესიული სტუდენტი. ისინი აქტიურად იყენებდნენ სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს. მხოლოდ ერთ მოდულის შემთხვევაში დაფიქსირდა ნაწილობრივი შეუსაბამობები.

აკადემიური მოსწრების ანალიზი

კვლევის ფარგლებში შემონიშნა პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და სტუდენტების მიერ მათი დადასტურება-არდადასტურების პირობები. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას, კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეფასებულის, რამდენ სტუდენტს დაუდასტურდა ან, არ დაუდასტურდა სწავლის შედეგი. შესაბამისად აკადემიური მოსწრების ანალიზი დაეყრდნო არადიფერენცირებულ შეფასებას.

ათივე პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტებით ირკვევა, რომ მათ ათივე მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურეს ერთჯერადად. დადასტურების პირობები ითვალისწინებდა თითოეული სწავლის შედეგის ფარგლებში დიფერენცირებულ შეფასებას, ხოლო საბოლოო განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნებოდა არადიფერენცირებულ შეფასებას.

ძირითადი მიზნები

1. საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული სტუდენტები ყველაზე დადებითად შემდეგ სასწავლო კურსებს აფასებენ: წამლის ფორმათა ტექნოლოგია, არაორგანული ქიმია, ავადმყოფის მოვლა, სამედიცინო ეთიკა, ნერვული და ფსიქიური დაავადებები, კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, გრაფიკული რელაქტორები.
2. გამოკითხული პროფესიული სტუდენტებიდან სასწავლო კურსები ყველაზე ნაკლებად შეფასდა ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტების მიერ. მათ ყველაზე უარყოფითად შეაფასეს ბიოეთიკის სასწავლო კურსი.
3. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები 10 მოდულიდან 9 მოდულს აფასებენ დადებითად. ერთი მოდული შეფასდა შედარებით ნეგატიურად.
4. კვლევაში მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა მოდის მეცადინეობებზე მომზადებული და ინფორმაციის, ახალი მასალის გადასაცემად იყენებს მაგალითებსა და ილუსტრაციებს.
5. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები უბიძგებენ სტუდენტებს იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად. შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ანალიტიკური უნარის განვითარებას.
6. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსისა და სწავლის პროცესის მიმართ სტუდენტები დადებითად არიან განწყობილნი, ხოლო გამოკითხული რესპოდენტების ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შინაარსობრივ ცვლილებებთან ნაკლებადაა კავშირში.
7. პროფესიული სტუდენტები ითხოვენ გარემო-პირობების გაუმჯობესებას. კერძოდ ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟებას კოლეჯში.

რეკომენდაციები

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური მიდგომა საჭირო სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ამ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა მხარე - პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაცია. ამასთან, სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება, სადაც ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად იქნება ჩართული და ექნებათ შესაძლებლობა ღიად და თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები. სტუდენტები, რომლებიც მრავალფეროვან აქტივობებში, დისკუსიებსა და case study-ების განხილვებში იქნებიან ჩართულნი, განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაინტერესებასა და მათ ჩართულობას, ხოლო ლექციების დროულად დაწყების და დასრულების შემთხვევაში ადგილი არ ექნება დროის უსარგებლოდ ხარჯვას.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროგრამის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ განათლებას, შეფასების მთავარი სამიზნე პრაქტიკული უნარების დემონსტრირება უნდა გახდეს.

შესაბამისად, ამ ყველაფრის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მესაღიანობები, რომელიც განაპირობებს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

დანართი 1

პროფესიული განათლების მასწავლებლისა და სასწავლო კურსის შეფასების ფორმა

სასწავლო კურსის სახელი -----

პროფესიული განათლების მასწავლებელი -----

ამ გამოკითხვის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და მისი სასწავლო კურსის შეფასება.

კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა წერილობით შეაფასოთ პროფესიული განათლების მასწავლებელი და მისი სასწავლო კურსები.

გამოკითხვა ანონიმურია და პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო კურსის დასრულებამდე ვერ გაეცნობა გამოკითხვის შედეგებს.

გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულწრფელი. თქვენი პასუხები დაგვეხმარება სამომავლოდ გავაუმჯობესოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გთხოვთ თითოეული კითხვა შეაფასოთ 3 ბალიან სკალაზე, სადაც:

1- ნიშნავს ვეთანხმები, 2- ნაწილობრივ ვეთანხმები, 3-არ ვეთანხმები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის დროზე მოდის მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე

1 2 3

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი კარგადაა მომზადებული თითოეული მეცადინეობისთვის

1 2 3

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად

1 2 3

4. პროფესიული განათლების მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის მასალას

1 2 3

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად და გასაგებად

1 2 3

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ესმით სასწავლო კურსის ძირითადი იდეები

1 2 3

7. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში

1 2 3

8. პროფესიული განათლების მასწავლებელი უბიძგებს პროფესიულ სტუდენტებს, რომ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად

1 2 3

9. პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა კლასგარეშე კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან

1 2 3

10. პროფესიულმა სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ მეცადინეობისგან, პროფესიული განათლების მასწავლებელი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს

1 2 3

11. პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ დასახელებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება კურსს

1 2 3

12. დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებს

1 2 3

13. სასწავლო კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც

1. ძალიან კარგი 2. კარგი 3. საშუალო 4. ცუდი

14. რა თვისებების გამო მიგაჩნიათ თქვენი მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად?

15. რა არ მოგწონთ თქვენ პროფესიულ განათლების მასწავლებელში?

16. რას შეცვლიდით სასწავლო კურსის შინაარსში?

თარიღი - - - - -

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 2.

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. მათზე დაყრდნობით დაიგეგმება კოლეჯის მომავალი მუშაობა. *გამოკითხვა ანონიმურია.*

მიუთითეთ სპეციალობა:

1. ხშირად აცდენთ მეცადინეობებს?

1. კი

2. არა

2. თუ კი, რატომ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. დრო არ მანყობს.
2. შინაარსობრივად ვერ მივყვები მეცადინეობას, რთული თემების გარჩევა ჩემთვის ძალიან სწრაფად ხდება.
3. ჩემი ამჟამინდელი ცოდნა და სასკოლო განათლება არ არის საკმარისი მეცადინეობებზე განხილული თეორიული მასალის გასაგებად.
4. ჩემთვის მეცადინეობები საკმაოდ ხმაურიანია.
5. მეცადინეობისას განხილული თემები ჩემთვის უინტერესოა.
6. ჩემი აზრით, მეცადინეობებზე განხილული თემები ჩემს პროფესიულ განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.
7. სხვა -----

3. აცდენდნენ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლები მეცადინეობებს (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი):

1. საერთოდ არა
2. კი, იშვიათად
3. კი, ხშირად

4. გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები (პირველი პასუხის არჩევის შემთხვევაში გამოტოვეთ მეხუთე კითხვა)?

1. სავსებით მაკმაყოფილებს (ამ პასუხის არჩევის შემთხვევაში გამოტოვეთ მომდევნო შეკითხვა)
2. ნაწილობრივ მაკმაყოფილებს

3. არ მაკმაყოფილებს

5. რა არის სწავლის პირობებით უკმაყოფილების მიზეზი (შეგიძლია შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი.)

1. აუდიტორიაში საკმარისი ადგილი არ არის
2. გათბობა არ არის
3. მერხებია დამტვრეული
4. დატუა არ არის
5. სინათლე არ არის
6. სხვა: _____

6. გიშლით თუ არა სწავლაში ხელს მესხუთე კითხვაში ჩამოთვლილი სირთულეები? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ძალიან
2. არც ისე
3. თითქმის არა

7. გაკმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული სიტუაცია?

1. ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდო
2. ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგიც ბიბლიოთეკაშია
3. ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვინევს მათი გადაქსეროქსება
4. სახელმძღვანელოები ქართულად არ არის, ხოლო სხვა ენაზე კითხვა გვიჭირს
5. პროფესიული განათლების მასწავლებლები ძალიან ბევრ სახელმძღვანელოს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში
6. სხვა: _____

8. იცით თუ არა, რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მიიღოთ ის? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. ვიცი კარგად
2. ვიცი ბუნდოვნად
3. მხოლოდ მსმენია
4. არ ვიცი

9. წარმოგიდგინათ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელმა კურსის დაწყებისთანავე სილაბუსი? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ყველამ
2. დიახ, დახლოებით 3/4-მა
3. დიახ, დაახლოებით ნახევარმა
4. დიახ, დაახლოებით 1/4-მა
5. დიახ, მხოლოდ ერთი-ორმა
6. არაფერ

(თუ ამ კითხვაზე პასუხად შემოხაზავთ 6-ს, მაშინ 10-ს არ ავსებთ)

10. თუ წარმოგიდგინათ, დაგეხმარათ თუ არა ეს სწავლების ორგანიზებაში? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ძალიან
2. დიახ, საშუალოდ
3. დიახ, ოღონდ უმნიშვნელოდ
4. საერთოდ არ დამხმარებია
5. საჭიროდ არ ვთვლი სილაბუსების დარიგებას

11. რას ფიქრობთ შეფასების 100 ქულიან სისტემაზე? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. კარგია, რადგან უკეთ აჩვენებს განსხვავებებს პროფესიულ სტუდენტებს შორის
2. კარგია ის, რომ მთელი სემესტრის მანძილზე სწავლას აფასებს
3. შეფასების ახალი სისტემის შემოღებით არაფერი შეცვლილა
4. ცუდია, რადგან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ასახავს რეალურ ცოდნას
5. სხვა: _____

12. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ძირითადი სპეციალობით? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. სავსებით კმაყოფილი ვარ
2. ნაწილობრივ, მაგრამ არ შევცვლიდი
2. არა, რომ შემეძლოს, შევცვლიდი არჩევანს
3. სხვა: _____

13. საერთოდ, როგორ შეათვასებდით თქვენს არჩევანს, გესწავლათ საზოგადოებრივ კოლეჯ ბარაკონში? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. მოლოდინი გამიმართლდა
2. მოლოდინი ნაწილობრივ გამიმართლდა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ
3. უკმაყოფილო ვარ, მოლოდინი თითქმის არ გამიმართლდა
4. საერთოდ არ უნდა ჩამეებარებინა ამ კოლეჯში

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 3

კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის

| | |
|------------------------------------------------------|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | |
| დასაწერგი პროგრამის დასახელება | |
| მოდულის დასახელება | |
| კრედიტების რაოდენობა | |
| მასწავლებლის სახელი და გვარი , საკონტაქტო ინფორმაცია | |

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერის თარგვლებში პრობლემების იდენტიფიცირებას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთხვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი შენიშვნები/რეკომენდაციები.

| N | კითხვები | დიახ | ნაწილობრივ | არა | შენიშვნები/ რეკომენდაციები |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------|------|------------|-----|-------------------------------|
| 1. | იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას? | | | | |
| 2. | გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება? | | | | |
| 3. | პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში? | | | | |
| 4. | პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში? | | | | |
| 5. | მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის? | | | | |
| 6. | მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა? | | | | |

| | | | | | |
|-----|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|--|
| 7. | გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი? | | | | |
| 8. | საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას? | | | | |
| 9. | თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები? | | | | |
| 10. | სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას? | | | | |
| 11. | სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას? | | | | |
| 12. | შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს? | | | | |
| 13. | რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს? | | | | |
| 14. | რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს? | | | | |
| 15. | რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს? | | | | |
| 16. | ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად? | | | | |
| 17. | ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ | | | | |

| | | | | | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|--|
| 18. | არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით? | | | | |
| 19. | არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები) | | | | |
| 20. | მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/კონსულტირებას? | | | | |
| <p>შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.</p> <p><i>საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი კომენტარი, წინადადებები:</i></p> | | | | | |

კითხვარის შევსების თარიღი: _____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

დანართი 4

კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის

| | |
|-------------------------------------------|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | |
| მოდულის დასახელება | |
| მოდულის მასწავლებელი | |

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში.

გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

| № | კითხვები | დიახ | ნაწილ ობრივ | არა | კომენტარი /რეკომენდაცია. |
|----------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|----------------|-----|-----------------------------|
| 1. მომზადება | | | | | |
| 1. | სასწავლებელმა მომანოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ | | | | |
| 2. | გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს | | | | |
| 3. | გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს | | | | |
| 4. | გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში | | | | |
| 5. | ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში | | | | |
| 6. | ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას | | | | |
| 2. სასწავლო პროცესი | | | | | |
| 7. | პროფესიული განათლების მასწავლებელი/ მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას | | | | |

| | | | | | |
|----------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|------------------------------------------|
| 8. | სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას | | | | |
| 9. | პროფესიული განათლების მასწავლებელი სისტემურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით | | | | |
| 10. | სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს | | | | |
| 11. | მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად | | | | |
| 3. რესურსები და სასწავლო გარემო | | | | | |
| 12. | შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას. | | | | |
| 13. | სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია | | | | |
| 14. | სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით | | | | |
| 15. | სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი | | | | |
| 16. | გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“) | | | | „დიახ“ შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ: |
| კომენტარი: | | | | | |

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:

ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი
 ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები
 გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ
 დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი 5

საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

პროგრამის დასახელება:

მოდულის დასახელება:

საკონტაქტო საათის ფორმატი: *(ლექცია, პრაქტიკული, შეფასება)* _____

საკონტაქტო საათებზე დასწრების თარიღი და დრო: _____

მასწავლებელი _____

ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა: _____ შეცადინეობაზე სტუდენტთა რაოდენობა: _____

| საკონტაქტო საათის მახასიათებლები | შეფასება/მიზანთან შესაბამისობა | | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------|---------------------------|
| | შეესაბამება | არ შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება |
| 1. საკონტაქტო საათის თემის შესაბამისობა წინასწარ გაწერილ კალენდარულ/გაკვეთილის გეგმასთან | | | |
| კომენტარი: | | | |
| 2. გაკვეთილის სტრუქტურის შესაბამისობა გაკვეთილის მიზანთან <i>(საორგანიზაციო ეტაპი, აქცენტი წინარე ცოდნაზე, მასალის შესწავლა/ახალი უნრების ათვისება; სწავლის შედეგების განმტკიცება; რეფლექსია)</i> | | | |
| კომენტარი: | | | |

| | | | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|
| | | | |
| 3. მასწავლებლის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და აქტივობების შესაბამისობა სანავლებლის მიზანთან და რეგულირება | | | |
| კომენტარი: | | | |
| 4. რეალურად დახარჯული დროის შესაბამისობა მოდულის ჩანაწერებთან | | | |
| კომენტარი: | | | |
| 5. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და აქტიურობა სწავლის პროცესში | | | |
| კომენტარი: | | | |
| 6. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების ხელშეწყობა (მათ შორის სსსმ სტუდენტების) | | | |
| კომენტარი: | | | |

| | | | |
|------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|
| 7. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით | | | |
| კომენტარი: | | | |
| 8. სასწავლო გარემოს შესაბამისობა სწავლების მიზანთან | | | |
| კომენტარი: | | | |
| 9. გაკვეთილის გარემო, კლიმატი, ატმოსფერო | | | |
| კომენტარი: | | | |
| 10. სწავლის შედეგების განმტკიცება | | | |
| კომენტარი: | | | |
| 11. მასწავლებლის ზოგადი სახე, საკომუნიკაციო უნარები | | | |
| კომენტარი: | | | |

პროფესიული მასწავლებლის კომენტარი

ხელმოწერა/პროფესიული მასწავლებელი: _____

დამკვეთის უკუკავშირი

ხელმოწერა/გარე მხარდაჭერის სპეციალისტი: _____

ადგილი:

თარიღი:

